

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, სამაგისტრო  
პროგრამა - გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგიები  
ანა ნიკოლეიშვილი

## ვირულენტური ბაქტერიოფაგების შერჩევა *Ralstonia* *Solanacearum*-ით გამოწვეული მცენარეთა ბაქტერიოზების ბიოლოგიური კონტროლისთვის

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია გიორგი ელიავას სახელობის  
ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტში,  
გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



ნაშრომის ხელმძღვანელი: თამარ ქოქაშვილი -  
ასისტენტ-პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;  
ნუნუ მიცკევიჩი- ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი.

თბილისი

2024

## ანოტაცია

*Ralstonia solanacearum*-ი მსოფლიოში ყველაზე საშიშ ფიტოპათოგენებს შორისაა, იგი იწვევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს, წამყვანი კულტურების ინფიცირებას, როგორც კარტოფილი, პომიდორი, ბანანი და სხვა. მისი გამძლეობა ნიადაგსა და წყალში, გენეტიკურ ცვალებადობასთან ერთად, ართულებს კონტროლს ისეთი მეთოდების გამოყენებისას, როგორც ანტიბიოტიკები და ქიმიური პესტიციდები. ამიტომ, ბაქტერიასთან საბრძოლველად, ძალზედ მნიშვნელოვანია ეფექტური და გარემოსთვის უსაფრთხო კონტროლის მეთოდის შემუშავება სოფლის მეურნეობაში.

წარმოდგენილი კვლევის ძირითადი მიზანია *Ralstonia solanacearum*-ის მიმართ სპეციფიკური ფაგების დეტალური დახასიათება და მათი პოტენციალის შეფასება, მცენარეთა ბაქტერიოზების ბიოლოგიური კონტროლისთვის.

ჩვენს ხელთ არსებული *Ralstonia solanacearum*-ის 40 იზოლატი გადამოწმდა ძირითად ბიოქიმიურ მახასიათებლებზე. რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ ყველა იზოლატი ბიოქიმიური მახასიათებლებით მსგავსი იყო *R. solanacearum*-ის ტიპური შტამის. შემდეგ უკვე შევაფასეთ 10 სხვადასხვა ანტიბიოტიკის მიმართ მგრძობელობა. დადგინდა, რომ *R. solanacearum*-ის შტამების რეზისტენტობა მაღალი იყო ამ ანტიბიოტიკების მიმართ კერძოდ: ცეფაზოლინი 100%, ამპიცილინი 97.5%, პოლიმიქსინი 97.5 %, გენტამიცინი 95 %, კანამიცინი 92.5%, სტრეპტომიცინი 92.5%. ამ მონაცემებით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ აუცილებელია ბაქტერიებთან საბრძოლველად გამოყენებული იქნას უფრო ეფექტური საშუალება. ელექტრონული მიკროსკოპის საშუალებით შევისწავლეთ *R. solanacearum*-ის მიმართ სპეციფიკური 7 ბაქტერიოფაგის ვირიონის მორფოლოგია. კვლევაში გამოყენებული ფაგები მიეკუთვნება Myoviridae და Podoviridae ჯგუფს. შემდგომი კვლევის მიზანი იყო *R. solanacearum*-ის მიმართ სპეციფიკური ბაქტერიოფაგების ლიზისური აქტივობის შეფასება, რის შედეგადაც დავადგინეთ, რომ 31 შტამი 40-დან ლიზირდებოდა ბაქტერიოფაგების ერთობლიობით (7 ბაქტერიოფაგით). რესტრიქციული პროფილის შედარებამ საშუალება მოგვცა გვემსჯელა საკვლევი ფაგების გენეტიკურ მრავალფეროვნებაზე. კერძოდ გამოიყო ხუთი სხვადასხვა ტიპის ფაგი. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეირჩა 3 (*R.s* 3-1; *R.s* 6-3; *R.s* 4) *R. solanacearum*-ის მიმართ სპეციფიკური ბაქტერიოფაგი შემდგომი კვლევისთვის. შევისწავლეთ ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების ზეგავლენა შერჩეულ ფაგებზე, რის შედეგადაც

დადგინდა, რომ ეს ფაგები ხასიათდებიან მდგრადობით მაღალი ტემპერატურის და სხვადასხვა pH- ის პირობებში. ასევე შერჩეული ფაგები თხიერ არეში სტაბილურობას ინარჩუნებდნენ 24 საათი შემდეგ  $10^{-1}$ ,  $10^{-2}$ ,  $10^{-3}$  განზავებაში.

მიღებული შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შერჩეული *R. solanacearum*-ის მიმართ სპეციფიკური სამივე ფაგის, ფართო ლიზისური სპექტრი, ხანგრძლივი ლიზისური სტაბილობა თხიერ საკვებ არეში, ფიზიკო-ქიმიური ფაქტორებისადმი მდგრადობა, აკმაყოფილებს ბიოლოგიური კონტროლისთვის გამოსაყენებელ ბაქტერიოფაგებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

## Annotation

*Ralstonia solanacearum* is among the most dangerous phytopathogens globally, causing significant economic losses by infecting major crops such as potatoes, tomatoes, bananas, and others. Its persistence in soil and water, coupled with genetic variability, complicates control measures using antibiotics and chemical pesticides. Therefore, it is crucial to develop effective and environmentally safe control methods for agriculture.

The main goal of the presented research is to characterize specific phages against *R. solanacearum* and assess their potential for biological control of plant bacterial diseases. We studied basic biochemical characteristics for 40 isolates of *R. solanacearum*, as a result, it was revealed that all the isolates were similar to the typical strain of *R. solanacearum* by biochemical characteristics. Subsequently, we evaluated the sensitivity of these isolates to 10 different antibiotics. It was determined that *R. solanacearum* strains were resistant to these antibiotics: cefazolin 100%, ampicillin 97.5%, polymyxin 97.5%, gentamicin 95%, kanamycin 92.5%, streptomycin 92.5%. These data reinforce the necessity for more effective means to combat the bacteria. We also studied the virion morphology of seven bacteriophages specific to *R. solanacearum* by electron microscopy. The phages belong to the Myoviridae and Podoviridae families. The subsequent objective was to assess the lytic activity of phages specific to *R. solanacearum*, which revealed that 31 out of 40 strains were lysed by a combination of seven bacteriophages. Restriction profile comparison allowed us to look at the genetic diversity of the study phages. Five different types of phages have been isolated. Based on these results, three phages (*R.s* 3-1; *R.s* 6-3; *R.s* 4) specific to *R. solanacearum* were selected for further research. We

studied the influence of physical and chemical factors on the selected phages, it was determined that these phages are characterized by stability at high temperature and different pH environments. Additionally, the selected phages maintained stability in liquid media for 24 hours at dilutions of  $10^{-1}$ ,  $10^{-2}$ , and  $10^{-3}$ .

From the obtained results, we can conclude that the broad lytic spectrum, long-term lysis stability in the liquid media, resistance to physical-chemical factors of the three selected *R. solanacearum*-specific phages meet the requirements for bacteriophages used in biological control.

## სარჩევი:

ანოტაცია .....	2
შესავალი .....	7
1 ლიტერატურის მიმოხილვა .....	9
1.1 <i>Ralstonia solanacearum</i> -ის დახასიათება.....	9
1.1.1 <i>Ralstonia solanacearum</i> მორფოლოგია, პათოგენეზი .....	9
1.1.2 კლასიფიკაცია .....	11
1.1.3 <i>Ralstonia solanacearum</i> -ის გავრცელების არეალი საქართველოში .....	12
1.1.4 <i>Ralstonia solanacearum</i> -ით გამოწვეული პათოგენეზი .....	12
1.1.5 ბაქტერიოზებთან პროფილაქტიკისა და ბრძოლის მეთოდები .....	13
1.2 ბაქტერიოფაგების ბიოლოგიური მრავალფეროვნება და კლასიფიკაციის მიმოხილვა.....	17
1.2.1 ბაქტერიოფაგების მახასიათებლები .....	17
1.3 ბაქტერიოფაგების კლასიფიკაცია.....	19
1.4 ბაქტერიოფაგის ურთიერთქმედება ბაქტერიულ უჯრედთან.....	20
2 მასალა და მეთოდოლოგია .....	21
2.1 საკვები არეები და ქიმიური რეაქტივები.....	21
2.2 <i>Ralstonia solanacearum</i> -ის შტამები .....	21
2.3 სპეციფიკური ბაქტერიოფაგები <i>Ralstonia solanacearum</i> -ს მიმართ .....	22
2.4 ანტიბიოტიკები .....	22
2.5 კვლევაში გამოყენებული მეთოდები .....	22
2.5.1 <i>R. solanacearum</i> -ის ბიოქიმიური მახასიათებლების შესწავლა .....	22
2.5.2 ანტიბიოტიკომგრძობელობის განსაზღვრა კირბი-ბაუერის სტანდარტული დისკ-დიფუზიის მეთოდით .....	23
2.6 ბაქტერიული ვირუსების გამრავლების და კონცენტრირების, ბაქტერიოფაგების ბიოლოგიური თვისებების შესწავლის მეთოდები .....	24
3 კვლევის შედეგები და მათი განხილვა .....	27
3.1 <i>R. solanacearum</i> -ის შტამების ფენოტიპური დახასიათება .....	27
3.2 <i>R. solanacearum</i> -ის შტამების ანტიბიოტიკომგრძობელობის შესწავლა.....	31
3.3 ფაგის მორფოლოგიის შესწავლა ელექტრონული მიკროსკოპით .....	33
3.4 <i>R. solanacearum</i> -ის მიმართ სპეციფიკური ფაგების ლიზისური სპექტრის განსაზღვრა .....	34

3.5 <i>R. solanacearum</i> -ის მიმართ სპეციფიკური ბაქტერიოფაგების დნმ-ის რესტრიქციული ანალიზი .....	36
3.6 <i>R. solanacearum</i> -ის მიმართ შერჩეული სპეციფიკური ბაქტერიოფაგების ლიზისური სტაბილობა თხიერ საკვებ არეში .....	39
3.7 <i>R. solanacearum</i> -ის ფაგების მგრძობელობა ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების მიმართ .....	40
4 დასკვნა .....	42
5 გამოყენებული ლიტერატურა .....	42

## შესავალი

სტრატეგიული სასოფლო სამეურნეო კულტურების (ხორბალი, ბრინჯი სოიო, კარტოფილი, სტაფილო. ბანანი, ვაშლი, ციტრუსები და სხვ) დაავადებთან ბრძოლა დღემდე რჩება ერთერთ აქტუალურ პრობლემად მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით, როცა დაავადება მასშტაბურ ხასიათს იღებს და მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს იწვევს.

კარტოფილს მაღალი კვებითი ღირებულება აქვს და ის წამყვან კულტურას წარმოადგენს საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებისთვის (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, სვანეთი, მთიულეთი). კარტოფილის მაღალი და სტაბილური მოსავლის მისაღებად აუცილებელია მავნე მიკროორგანიზმებთან ბრძოლის ღონისძიებების გატარება, რასაც თავის მხრივ საფუძვლად უდევს რიგი აგროტექნიკური, ბიოლოგიური და ქიმიური ტექნოლოგიების კონბინირებული გამოყენება.

კულტურულ და ასევე ველურ მცენარეთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაავადებას წარმოადგენს მურა სიდამპლე, რომლის გამომწვევია *Ralstonia solanacearum*-ი (1). იგი აავადებს 50 სხვადასხვა მცენარეს, როგორც არის კარტოფილი, თამბაქო და პომიდორი. დაავადებისგან გამოწვეული დანაკარგები საკმაოდ მაღალია (30 - 70%) როგორც დიდ ფერმერულ მეურნეებში, ასევე საკარმიდამო ნაკვეთებზე. დაავადება შეიძლება მცენარის ზრდის ნებისმიერ ფაზაში გამოვლინდეს. *R.solanacearum* ავლენს მნიშვნელოვან მრავალფეროვნებას და კლასიფიცირებულია ოთხ ძირითად ფილოტიპურ ჯგუფად (ფილოტიპები), 5 რასასად და 5 ბიოვარად. *Ralstonia*-ს გვარის სახეობათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია რასა 3, ბიოვარი 2. ეს რასა ფართოდ არის გავრცელებული მრავალ ქვეყანაში (დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, შვედეთი და ა.შ) და განიხილება, როგორც საკარანტიონო ობიექტი - შეტანილია ევროპის მცენარეთა პათოლოგიის ორგანიზაციის (EPPO) ე.წ. A2 ნუსხაში, ასევე აგროკულტურათა ბიოტერორიზმის აგენტთა სიაში. პათოგენის დისემინაციის მრავალი გზა არსებობს: დაბინძურებული ნიადაგი, სარწყავი წყალი, ზედაპირული წყლები, დაავადებული მცენარის გადანერგვა, პერსონალის მიერ ინფიცირებული მცენარეთა ქსოვილების გადატანა და ა.შ. აქედან გამომდინარე, ამ დაავადების პრევენცია და მისი ერადიკაცია დიდ პრობლემას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ანტიბიოტიკები და სპილენძზე დაფუძნებული პესტიციდები ტრადიციულად ფართოდ გამოიყენება ფიტოპათოგენების ინჰიბირების მიზნით, მათი ეფექტურობა საგრძნობლად შემცირდა რეზისტენტული ბაქტერიული შტამების გავრცელების გამო. ამ რეალობამ ეკოლოგიური მიზანდასახულობის (გარემოსადმი მეგობრული, უვნებელი ტექნოლოგიები) მოთხოვნასთან ერთად ბოლო წლებში განსაკუთრებით გამოიკვეთა ალტერნატიული თერაპიული სტრატეგიების განვითარების და გამოყენების აუცილებლობა.

ასეთ საშუალებებში პირველყოვლისა მოიაზრება ბაქტერიოფაგები, რომელთა ანტიმიკრობული (სამკურნალო და პროფილაქტიკური) ეფექტურობა დამტკიცებულია მრავალწლიანი გამოცდილებით (2). ბოლო ორი ათწლეულების განმავლობაში გელაივას ინსტიტუტში ჩატარდა რიგი კვლევები, რომელთა ფარგლებშიც გამოიყო და ბიოლოგიურად დახასიათდა ბაქტერიოფაგები სხვადასხვა ფიტოპათოგენური ბაქტერიების მიმართ, მათ შორის *Ralstonia*-ს გვარის სახეობებზეც (3,4,5,6). მიზნად ისახავდა მნიშვნელოვანი ფიტოპათოგენური ბაქტერიების მიმართ სპეციფიკურ ბაქტერიოფაგების გამოყენებას, მათ შორის უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაშიც გამოჩნდა პუბლიკაციები, რომლებიც ეხება ჩვენი სამიზნე - *Ralstonia* -ს გვარის - ბაქტერიების მიერ გამოწვეული ინფექციების კონტროლისათვის ფაგების და მათი ნარეგების გამოყენებას (7,8,9,10). ფაგური პრეპარატების, როგორც ახალი საშუალების, გამოყენება *R. solanacearum*-ით გამოწვეული კარტოფილის დაავადებების საწინააღმდეგოდ ემყარება ბაქტერიოფაგების მაღალ სპეციფიკურობას და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.



# 1 ლიტერატურის მიმოხილვა

## 1.1 *Ralstonia solanacearum*-ის დახასიათება

### 1.1.1 *Ralstonia solanacearum* მორფოლოგია, პათოგენეზი

*Ralstonia solanacearum* ნიადაგსა და წყალში არსებული ბაქტერია, იგი გამომწვევია მცენარეებში ბაქტერიულ ჭკნობის, კარტოფილში მურა სიდამპლის. მისი მაღალი დესტრუქციული ხასიათის გამო მსოფლიოში მეორე ყველაზე მავნე ფიტოპათოგენია. 2010 წლის ივნისში პომიდვრის ნერგებზე ბაქტერიული ჭკნობის დაავადება საქართველოში პირველად დასავლეთ საქართველოს რეგიონში დაფიქსირდა ფერმერების მიერ, რამაც გამოიწვია მცენარის 100%-მდე დაკარგვა (11.) *R. Solanacearum* არის ღეროს ფორმის (ბაცილი), უჯრედების ზომა შეიძლება განსხვავდებოდეს, მაგრამ ზოგადად არის დაახლოებით 0,5-დან 1,5 მიკრომეტრამდე სიგანე და 1,5-დან 3 მიკრომეტრამდე სიგრძე. იგი მიეკუთვნება გრამ უარყოფით ბაქტერიებს, შესაბამისად, მასაც აქვს თხელი პეპტიდოგლიკანის ფენა უჯრედის კედელში, რომელიც მოთავსებულია გარე მემბრანასა და ციტოპლაზმურ მემბრანას შორის. განლაგება - ცალკეული ან წყვილი, ზოგჯერ ქმნის მოკლე ჯაჭვებს (12.) გააჩნია პოლარული შოლტი, ოქსიდაზა და კატალაზა დადებითი. იგი ითვლება მკაცრ აერობად და ახასიათებს აერობულ გარემოში ჟანგვითი მეტაბოლიზმის უნარი. ზოგიერთ შემთხვევაში, კი მას შეუძლია ნელი ზრდა, როცა უჯრედები პირდაპირ არ არიან კონტაქტში ჰაერთან. (13.) ტემპერატურა, რომელიც ბაქტერის სჭირდება ზრდა-განვითარებისთვის შესაძლებელია განსხვავებული იყოს სხვადასხვა რეგიონში, მაგალითად ტროპიკულ რაიონებში გავრცელებული *R. solanacearum*-ის შტამებს აქვს ზრდის მაღალი ტემპერატურა (35°C), ხოლო მაღალ მთიან და ზომიერი რაიონებში, ზრდის დაბალი ტემპერატურა (27 ° C). *R. solanacearum* არ გაიზრდება 4 ° C- ზე და 40 ° C-ზე. ზრდის მინიმალური 8-10 ° C და მაქსიმალური 37-39 ° C ტემპერატურული ზღვარია. როგორც ბაქტერიების უმრავლესობა, *R. solanacearum*-ის ზრდის ხელშემშლელი მჟავა გარემოა, ხოლო ტუტე გარემოში კი კარგად იზრდება (14). *R. solanacearum*-ის კოლონიების სპონტანური ტრანსფორმაცია ლორწოვანიდან არალორწოვან ფორმად არის შესამჩნევი მოვლენა, რომელიც დაკავშირებულია მათი პათოგენურობის შემცირებასთან. ეს გადასვლა, რომელსაც მოიხსენიებენ, როგორც

"ფენოტიპურ კონვერტაციას" (PC), შეინიშნება *R. solanacearum*-ის ყველა რასის შტამებში. PC აშკარა ხდება მყარ აგარზე კულტურის ხანგრძლივი თესვის დროს ან როდესაც მიკროორგანიზმი კულტივირებულია თხევად გარემოში, რომელიც შეიცავს ორგანულ აზოტის ნაერთებს და გლუკოზას, სადაც აირის ცვლა შეზღუდულია (15). ბაქტერიის კვლევა ტეტრაზოლიუმის ქლორიდის TZC-ზე იძლევა დიფერენცირებას ვირულენტულ და არავირულენტურ შტამებს შორის. ვირულენტური შტამები აგარის ფინჯანზე ქმნიან თეთრ კოლონიებს ვარდისფერი ცენტრებით, ხოლო არავირულენტური შტამები არის მუქი წითელი (16). ბაქტერია გადაადგილდება ცურვითი მოძრაობით. მოძრაობა მას ზრდის პერიოდში ახასიათებს. ცურვითი მოძრაობა დაკავშირებულია ბაქტერიის შოლტთან, მას შეუძლია წარმოქმნას ერთი ან ორი მოძრავი პოლარული შოლტი. *R. solanacearum* უჯრედებს მოძრაობა შეუძლიათ მაშინ, როდესაც სიმკვრივე უჯრედებისა  $>10^6$  და  $<10^9$  უჯ/მლ (17). ბაქტერიისთვის სწორედ მოძრაობის უნარი განაპირობებს, მცენარეში შეჭრას და კოლონიზაციას. რასა 1 და რასა 2- ის შტამები უფრო მოძრავნი არიან, ვიდრე რასა 3-ის შტამები (18).

ბაქტერიის ვირულენტური ფაქტორები დაავადების ხელშეწყობისთვის:

1. ეგზოპოლისაქარიდი (EPS): აწარმოებს ეგზოპოლისაქარიდებს, რომლებიც შაქრის რთული მოლეკულებია, ისინი ქმნიან დამცავ მატრიქსს ბაქტერიული უჯრედების გარშემო;

2. გენები, რომლებიც ხელს უწყობენ მოძრაობასა და ცურვას: აქვს გენები, რომლებიც კოდირებენ მოძრაობასა და ცურვაში ჩართულ ცილებს, როგორცაა შოლტი და პილები(ფიმბრიები). ეს სტრუქტურები საშუალებას აძლევს ბაქტერიებს გადაადგილდნენ მცენარის სისხლძარღვთა სისტემაში, რაც მათ საშუალებას აძლევს გავრცელდნენ ინფექციის საწყისი ადგილიდან მცენარის სხვა ნაწილებში(19);

3. ბაქტერიაში პათოგენების განმსაზღვრელი გენი (hrp) განაპირობებს როგორც დაავადების განვითარებას, ასევე ჰიპერმგრძობელობის რეაქციის დათრგუნვას მცენარეში. ჰიპერმგრძობელობის რეაქცია (HR) არის გადამწყვეტი დამცავი მექანიზმი, რომელსაც მცენარეები იყენებენ ბაქტერიულ პათოგენებთან საბრძოლველად. ჰიპერმგრძობიარე რეაქციის დროს, ინფექციის ადგილზე მცენარეული უჯრედები განიცდიან დაპროგრამებულ უჯრედულ სიკვდილს (PCD), რაც ზღუდავს პათოგენის

გავრცელებას მცენარის სხვა ნაწილებზე (20.) Hrp გენი გვხვდება ბაქტერიის მეგაპლაზმიდაში. სწორედ hrp აკოდირებს III ტიპის სეკრეციის სისტემის (T3SS) კომპონენტებს. Ralstonia იყენებს III ტიპის სეკრეციის სისტემას (T3SS) ეფექტური ცილების პირდაპირ მცენარის უჯრედებში შესაყვანად. ეს მოქმედი პროტეინები ხელს უწყობენ ბაქტერიების კოლონიზაციას, და მასპინძლის თავდაცვის ჩახშობას;

4. ფერმენტების სეკრეცია: გამოყოფს სხვადასხვა ფერმენტებს, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ დაავადების პროგრესირების ხელშეწყობაში. მაგ: დნმ-აზები, უჯრედის კედლის დამშლელი ფერმენტები: ენდოკლუკონაზა (Egl),  $\beta$ -1,4-ცელობიოჰიდროლაზა (CbhA) და ზოგიერთი პექტინაზები (19).

### 1.1.2 კლასიფიკაცია

ბაქტერიული ჭკნობის ისტორია თარიღდება მე-19 საუკუნის ბოლოს, როდესაც სიმპტომები დაფიქსირდა მრავალ მცენარეულ მასპინძელზე. თუმცა, ადრეულ კვლევებს არ ჰქონდა პათოგენურობის მტკიცებულება და არ მოიცავდა გამომწვევი ორგანიზმის აღწერას. კარტოფილზე ჭკნობის დაავადება 1890 წელს TJ Burrill-მა აღწერა. პომიდვრის ბაქტერიული ჭკნობას მისისიპში 1891 წელს ბაირონ დ. ჰალსტედი აკვირდებოდა და სწავლობდა. შემდგომ, ერვინ ფრინკ სმიტმა მისივე კვლევების საფუძველზე ბაქტერია მიაკუთვნა Bacillus solanacearum-ს სახეობას. მოგვიანებით მიაკუთვნეს Pseudomonas გვარს. მან კვლავ განიცადა რეკლასიფიკაცია და მისი ბიოქიმიური, ფიზიკური და კვების თავისებურებების გათვალისწინებით 1995 წლიდან იგი განეკუთვნება ახალ შექმნილ გვარს Ralstonia-ს. დღევანდელი კლასიფიკაციით განეკუთვნება: კლასი Proteobacteriales, ქვეკლასი  $\beta$ - proteobacteria-ს, რიგი Burkholderiales, ოჯახი Ralstoniaceae, გვარი Ralstonia (21).

ფიტოპათოგენი მოიცავს ხუთ რასას და ხუთ ბიოვარს. რასები დაყოფილია იმის მიხედვით თუ რომელ მცენარეთა სახეობას ანადგურებს, ხოლო ბიოვარის დაყოფა დაფუძნებულია ზოგიერთი ნახშირწყლისა და სპირტების გამოყენების უნარზე.

**რასა 1-** ძალღერძებისებრთა ოჯახის მცენარეები, სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენლები: მიწის თხილი, მზესუმზირა, ლობიო და ზოგიერთი დეკორატიული მცენარე;

**რასა 2-** ბანანისებრთა ოჯახი;

რასა 3- პომიდორი,წიწაკა, კარტოფილი;

რასა 4-ჯანჯაფილი;

რასა 5-თუთის ხე (22).

### 1.1.3 *Ralstonia solanacearum*-ის გავრცელების არეალი საქართველოში

2011-2015 წლებში ჩატარდა კვლევები *R. Solanacearum* გავრცელების თაობაზე საქართველოში. კვლევამ ცხადყო, რომ ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ კარგად იყო გავრცელებული აღნიშნული წლებში ფიტოპათოგენი ბაქტერია და იგი გვხვდებოდა შემდეგ, გეოგრაფიულ ზონებში: 1. სამცხე-ჯავახეთი, სადაც კარტოფილის მურა სიდამპლე 63,6% შეადგენდა. 2. კოლხეთის დაბლობი, სადაც დაავადების გავრცელების ინტენსივობა იყო 48,54% და გვხვდებოდა მცენარეებზე როგორც არის: კარტოფილი, პომიდორი, წიწაკა, მაგრამ დაავადება ყველაზე მაღალი პროცენტით ფიქსირდებოდა კარტოფილზე- (62, 5%) და პომიდორზე- (48,48%). 3. ზემო აჭარა, სადაც ბაქტერიული ლპობის შემთხვევებმა შეადგინა- 43,13%. სადაც უდიდესი წილი მოდიოდა კარტოფილის მურა სიდამპლეზე (23).

### 1.1.4 *Ralstonia solanacearum*-ით გამოწვეული პათოგენიზი

**მურა სიდამპლე** - ფართოდ გავრცელებული კარტოფილის დაავადებაა, გამოწვეული *Ralstonia solanacearum* რასა 3-ით. დაავადების პირველი ნიშნები ვლინდება ყვავილობის პერიოდში. ბაქტერია მცენარეში იჭრება ფესვთა სისტემიდან დამატებითი ფესვების ჩამოყალიბებისას. მცენარეში მოხვედრილი ბაქტერია სწრაფად მრავლდება და ავსებს ჭურჭლებს, რაც დახშობას იწვევს. მცენარე ამის შემდეგ ვეღარ მარაგდება წყლითა და საკვები ნივთიერებებით,შესაბამისად ჭკნება.ინფექციის საწყის ეტაპზე, დღის ყველაზე ცხელ პერიოდში, ღეროს ზედა ნაწილში ფოთლები ჭკნება და ღამის პერიოდში საწყის მდგომარეობას უბრუნდება. ფოთლები მწვანე ფერს ინარჩუნებენ, მაგრამ მოგვიანებით ყვითლდება და ვითარდება მურა ნეკროზი.მცენარე საბოლოოდ ხმება. როდესაც დაავადებული მცენარის ღერო ტყდება ჭურჭელ-ბოჭკოვანი კონებიდან გამოიყოფა ლორწოვანი, რძისფერი ბაქტერიული ექსუდატი. როდესაც მოჭრილი ღერო წყალშია მოთავსებული, კარტოფილის ღეროდან ლორწო წარმოქმნის ძაფისებრ ნაკადებს, რომელიც *R.solanacearum* პირველად დიაგნოსტიკის საშუალებას წარმოადგენს, ვინაიდან კარტოფილის სხვა ბაქტერიული დაავადებისას ასეთი ძაფები

არ წარმოიქმნება. დაბალ ტემპერატურაზე შესაძლებელი არის განვითარდეს დაავადების უსიმპტომო ანუ ლატენტური ფორმა (24).

**ბაქტერიული ჭკნობა- *R. solanacearum*** აინფიცირებს და მრავლდება ფესვთა სისტემის სპეციალიზებულ წყალგამტარ სტრუქტურებში-ქსილემაში. წარმოქმნის წებოვან ნივთიერებას- ეგზოპოლისაქარიდს, რაც იწვევს ქსილემის ბლოკირებას, რაც თავის მხრივ იწვევს წყალგამტარი სისტემის დახშობას და მცენარე აღარ მარაგდება წყლით. ფოთლები ყვითლდება და შემდგომ ჭკნება. ამას მოჰყვება მცენარის უეცარი ჭკნობა მოკლე პერიოდში, მცენარე ველარ უბრუნდება საწყის მდგომარეობას და ხმება. დაავადების მოწინავე სტადიაზე, ინფიცირებული მცენარეების ღეროებში შეიძლება გამოვლინდეს ქსოვილის დეგრადაციის ნიშნები, რაც იწვევს ღეროების შიგნით ღრუების ან ღრუ სივრცეების წარმოქმნას. ბაქტერია აზიანებს ისეთ მნიშვნელოვან კულტურებს, როგორც არის: პომიდორი, წიწაკა და სხვა (19; 25).

### 1.1.5 ბაქტერიოზებთან პროფილაქტიკისა და ბრძოლის მეთოდები

ბაქტერიული დაავადებები, კარტოფილის წარმოების ერთ-ერთი მთავარი ბიოტური შეზღუდვაა, განსაკუთრებით ტროპიკულ და სუბტროპიკულ რეგიონებში და ზოგიერთ თბილ ზომიერ რეგიონებში. შვიდი ბაქტერიული დაავადება (*Clavibacter* spp., *Ralstonia* spp., *Pectobacterium* spp., *Dickeya* spp., *Streptomyces* spp., *Liberibacter* spp. და *Ralstonia solanacearum*) სერიოზულ გავლენას ახდენს კარტოფილის მოსავალზე მთელ მსოფლიოში და იწვევს ზიანს, განსაკუთრებით ტუბერებზე ანუ მცენარის ეკონომიკურად ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილზე. ყველაზე მნიშვნელოვან დაავადებათ, მაინც ბაქტერიული ჭკნობა და მურა სიდამპლე ითვლება (26).

1) შერჩევას აუცილებელია მეზობელი ტერიტორიების შესწავლაც, აღნიშნულ ადგილებს არ უნდა ჰქონდეთ ბაქტერიული ჭკნობის დაავადების წინა ისტორია, რადგან ეს ამცირებს პათოგენის მოსავლში მოხვედრის რისკს. ბაქტერიული ჭკნობა, გამოწვეული ისეთი პათოგენებით, როგორცაა *Ralstonia solanacearum*, შეიძლება გაგრძელდეს ნიადაგში და მცენარეულ ნარჩენებში დიდი ხნის განმავლობაში. ბრტყელი და კარგად დრენაჟირებული ნიადაგის შერჩევა ხელს უწყობს წყლის სწორად მართვას, რადგან ჭარბი ტენიანობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ბაქტერიული პათოგენებისთვის. ნესტიანი ნიადაგების ან ჭარბი ტენიანობის მქონე ტერიტორიების თავიდან აცილება კიდევ უფრო ამცირებს დაავადების განვითარების რისკს, რადგან ეს პირობები ხელსაყრელია ბაქტერიული პათოგენების გავრცელებასა და

გამრავლებისათვის . გარდა ამისა, სხვა ინფიცირებული მინდვრებიდან წყლის თავისუფალი ჯვარედინი ნაკადის მქონე ტერიტორიების თავიდან აცილება ხელს უწყობს ბაქტერიული ჭკნობის პათოგენების შეყვანას კულტივირების ადგილზე. დაბინძურებულ წყალს შეუძლია პათოგენის გადატანა დიდ დისტანციებზე, რაც იწვევს დაავადებული ტერიტორიიდან, დაავადებისაგან თავისუფალი ტერიტორიის პოტენციურ დაბინძურებას.

2) მცენარეთა პათოგენები შეიძლება იყოს ინსტრუმენტებსა და მოწყობილობებზე წინა გამოყენების შემდეგ. ამიტომაც, რეკომენდებულია მოსავლის აღებისთვის განკუთვნილი ხელსაწყოების და აღჭურვილობის გაწმენდა გამოყენებამდე.

3) უნდა შეირჩეს კომერციულად ხელმისაწვდომი, სუფთა და სერთიფიცირებული ორგანულად წარმოებული კარტოფილის ტუბერები. ბაქტერიული ჭკნობის კონტროლი შესაძლებელი არის თესლის ტუბერების ცხელ ჰაერზე (112 °F) 75% ფარდობითი ტენიანობით: 30 წუთის განმავლობაში.

4) მწკრივების მანძილის გაზრდამ შესაძლებელია შეამციროს ბაქტერიული დაავადების სიხშირე ნიადაგში პათოგენების დაბალი პოპულაციებით. მცენარეთა რეკომენდებული მანძილი ჭკნობის სიხშირის შესამცირებლად 1,5-დან 2,5 ფუტამდე არის.

5) პესტიციდების მსოფლიო გამოყენებამ 2021 წელს მიაღწია 3,54 მილიონ ტონას. 1995 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად 0,5%-ით იზრდება მათი მოხმარება. ჩინეთი პესტიციდების უმსხვილესი მომხმარებელია, 2021 წელს 1,8 მილიონი ტონა მოიხმარეს. მეორე, მესამე და მეოთხე ადგილებზე, შეერთებული შტატები, ბრაზილია და არგენტინა არის.

ჰექტარზე მოსავლის 1%-იანი ზრდა დაკავშირებულია პესტიციდების მოხმარების 1.8%-ით ზრდასთან.

პესტიციდები, კერძოდ ალგიციდი (3-[3-ინდოლილ] ბუტანონის მჟავა), ფუმიგანტები (მეტამ ნატრიუმი, 1,3-დიქლოროპროპენი და ქლოროპიკრინი) და მცენარეთა აქტივატორები, რომლებიც ქმნიან პომიდორზე სისტემურ რეზისტენტობას (ვალიდამიცინი A და ვალიდოქსილამინი) გამოიყენება ბაქტერიულ ჭკნობის საწინააღმდეგოდ . მეთილის ბრომიდის, 1,3-დიქლოროპროპენის ან მეტამ ნატრიუმის კომბინაციამ ქლოროპიკრინთან საგრძნობლად შეამცირა ბაქტერიული ჭკნობა

მინდორში 72%-დან 100%-მდე და გაზარდა მოსავლიანობა. პესტიციდებით დამუშავებული პომიდვრის მოსავლიანობა იყო 1,7-დან 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე დაუმუშავებელი კონტროლის.

ბაქტერიციდები (ტრიაზოლოთიადაზინი [0,5-დან 12 მმ-მდე, ხსნარში], სტრეპტომიცინის სულფატი [400 მგ კგ<sup>-1</sup> ნიადაგი] ( 72 )), სხვა ქიმიკატები, როგორცაა მათეთრებელი ფხვნილები, ან სუსტი მჟავე ელექტროლიზებული წყალი (40 ppm ხელმისაწვდომი ქლორი, pH 5.6 ხსნარში), ასევე ეფექტურად ანადგურებს მიკროორგანიზმებს.

Acibenzolar-S-methyl (ASM) და თიმოლის კომბინაციამ მნიშვნელოვნად შეამცირა დაავადების სიხშირე და გაზარდა მოსავლიანობა. თიმოლი არის ბუნებრივი ნაერთი ანტიმიკრობული თვისებებით. ASM-თან ერთად გამოყენებისას მკვლევარებმა დააფიქსირეს სინერგიული ეფექტი, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად მცირდება ისეთი დაავადებების შემთხვევები, როგორცაა ბაქტერიული ჭკნობა, მურა სიდამპლე ან გვიანი ჭინჭრის ციება კარტოფილში.

სილიციუმის დიოქსიდის (Si) და ქიტოზანის გამოყენება კარტოფილში ბაქტერიული დაავადების წინააღმდეგ. ცნობილია, რომ სილიციუმი და ქიტოზანი აძლიერებენ მცენარის უჯრედის კედლებს და ააქტიურებენ თავდაცვის მექანიზმებს როდესაც გამოიყენება კარტოფილის მცენარეებზე.

მცენარეთა დაავადების კონტროლი დიდწილად დამოკიდებული პესტიციდების გამოყენებაზე, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ პესტიციდების უმრავლესობა შეიძლება დარჩეს გარემოში მრავალი წლის განმავლობაში, გახდეს დამაბინძურებელი ნიადაგში და/ან მიწისქვეშა წყლებში და იყოს მომწამვლელი ადამიანებისა და ცხოველებისთვის ( 27).

ანტიბიოტიკები მცენარეთა სოფლის მეურნეობაში ყველაზე რეგულარულად გამოიყენება ხუთი ანტიბიოტიკი: სტრეპტომიცინი, კასუგამიცინი , ოქსოლინის მჟავა , ოქსიტეტრაციკლინიც და გენტამიცინი. ანტიბიოტიკების გამოყენება მცენარეებზე განაპირობებს შერჩევით ზეწოლას მცენარეებთან ასოცირებულ ბაქტერიებზე, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის განვითარება. ბაქტერიებში ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის გაჩენა და გავრცელება შეიძლება

მოხდეს სხვადასხვა მექანიზმით, მათ შორის სპონტანური გენის მუტაციებით და გენის ჰორიზონტალური გადაცემით.

1. **სპონტანური გენის მუტაციები:** ბაქტერიებს შეუძლიათ განიცადონ სპონტანური მუტაციები თავიანთ გენეტიკურ მასალაში, განსაკუთრებით გენებში, რომლებიც დაკავშირებულია ანტიბიოტიკების მოქმედების მექანიზმთან. ამ მუტაციებმა შეიძლება მიანიჭოს რეზისტენტობა ანტიბიოტიკის მიმართ.
2. **გენის ჰორიზონტალური გადაცემა:** გენეტიკური მასალის ჰორიზონტალურად გადატანა შესაძლებელია ბაქტერიებს შორის რამდენიმე მექანიზმით:
  - ტრანსფორმაცია, ბაქტერიებს შეუძლიათ აიღონ თავისუფალი დნმ-ის მოლეკულები უჯრედ გარე გარემოდან და ჩაერთონ მათ გენომში, შეიძინონ ახალი გენეტიკური თვისებები, როგორცაა ანტიბიოტიკების წინააღმდეგობის გენები;
  - ტრანსდუქცია, იგი გულისხმობს გენეტიკური მასალის გადაცემას ბაქტერიოფაგების მიერ;
  - კონიუგაცია, მოითხოვს უშუალო კონტაქტს ორ ბაქტერიულ უჯრედს შორის, რომლის დროსაც გენეტიკური მასალა, რომელიც ხშირად პლაზმიდებზეა, გადადის დონორის უჯრედიდან მიმღებ უჯრედში.

მცენარეთა დაცვაში შესაძლებელია, უფრო მეტი ანტიბიოტიკი იქნას გამოყენებული, მაგრამ მათი ეფექტურობა კარგად არ არის შესწავლილი. გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში ისეთი ანტიბიოტიკები გამოიყენება მცენარეებზე, რომლებიც არ არიან ავტორიზებული. კიდევ ერთი პრობლემაა მონიტორინგის სისტემის არარსებობა ან/და ნაკლებობა რამაც შეიძლება გამოიწვიოს ანტიბიოტიკების არასათანადო ან გადაჭარბებული გამოყენება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ბაქტერიებში ანტიბიოტიკო რეზისტენტობის განვითარებას. მცენარეთა დაავადებებთან საბრძოლველად ახალი ანტიბიოტიკების ძიება კვლავაც აქტუალური საკითხია (28).

ბაქტერიოფაგების გამოყენება- ერთ-ერთი საუკეთესო გზაა ბაქტერიებთან საბრძოლველად ვინაიდან ძალზედ სპეციფიკური ვირუსებია, რომლებიც აინფიცირებს მხოლოდ კონკრეტულ ბაქტერიულ შტამებს, რის შედეგადაც არასამიზნე ორგანიზმები უვნებელია; იგი პესტიციდების მსგავსად არ ტოვებს მავნე ნარჩენებს და გარემოს არ აზინძურებს; ანტიბიოტიკებისა და ქიმიური პესტიციდების მიმართ რეზისტენტულ ბაქტერიებთან ბრძოლის საშუალებას წარმოადგენს; მას ახასიათებს სწრაფი ზრდა და



ბაქტერიების სწრაფი ლიზისი; შესაძლებელია შეიქმნას ფაგის კოქტილები, რითაც ბაქტერიების რამდენიმე შტამის განადგურებას შეძლებს.

## 1.2 ბაქტერიოფაგების ბიოლოგიური მრავალფეროვნება და კლასიფიკაციის მიმოხილვა

### 1.2.1 ბაქტერიოფაგების მახასიათებლები

ბაქტერიოფაგები (ბერძ. bacterio ჩხირი, phagos-მშთანთქმელი) პირველად 1915 წელს დიდ ბრიტანეთში აღმოაჩინა უილიამ ტორტმა, ხოლო 1917 წელს საფრანგეთში ფელიქს დ'ჰერელმა გააცნობიერა, რომ მათ ბაქტერიების მოკვლის პოტენციალი ჰქონდათ. დ'ჰერელმა გამოიგონა ტერმინი ბაქტერიოფაგი, რაც ნიშნავს „ბაქტერიების მჭამელს.“ კვლევები და ბაქტერიოფაგების გამოყენების პრაქტიკა გაგრძელდა ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. არსებობს ათასობით სახეობის ფაგები, რომელთაგან თითოეულმა შეიძლება დაინფიციროს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ტიპის ბაქტერია. მონოვალენტურია ფაგი, რომელიც იწვევს ერთი სახეობის ბაქტერიის ლიზის, ხოლო პოლივალენტური რამდენიმე სახეობას ანადგურებს. ფაგები კლასიფიცირდება ვირუსების რიგ ოჯახებში; მაგალითად: Microviridae, Inoviridae, Rudiviridae და Tectiviridae. ყველა ვირუსის მსგავსად, ფაგებიც მარტივი ორგანიზმებია, რომლებიც შედგება გენეტიკური მასალისგან (ნუკლეინის მჟავა), რომელიც გარშემორტყმულია ცილის კაფსიდით. ნუკლეინის მჟავა შეიძლება იყოს დნმ ან რნმ და შეიძლება იყოს ორჯაჭვიანი ან ერთჯაჭვიანი. არსებობს ფაგის სამი ძირითადი სტრუქტურული ფორმა: იკოსაედრული თავი კუდით, იკოსაედრული თავი კუდის გარეშე და ძაფისებრი ფორმა (29).

ბაქტერიოფაგის ტიპური სტრუქტურა შედგება თავის, კაფსიდისა და კუდისგან, თუმცა შეიძლება ჰქონდეთ დამატებითი სტრუქტურებიც, როგორცაა ფიბრილები, საყელო, ბაზალური ფირფიტა. ბაქტერიოფაგებს შორის, Escherichia virus T4 არის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ შესწავლილი (30).

ბაქტერიოფაგის კვლევაში ქართველმა მეცნიერმა, გიორგი ელიავამ უდიდესი წვრილი შეიტანა, მან 1915 წელს Vibrio cholerae-ს თვითლიზისის მოვლენა შენიშნა და

შეისწავლა ბაქტერიოფაგის ფენომენი. მის სახელს ატარებს საქართველოში

ბაქტერიოფაგის მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.

სხვა ვირუსების მსგავსად, ბაქტერიოფაგებიც ობლიგატური პარაზიტები არიან. ისინი გვხვდება ყველგან: ნიადაგში, ატმოსფეროში, წყალში, განსაკუთრებით კი საკანალიზაციო წყლებში, საჭმლის მომწელებელ სისტემაში, სხეულის ზედაპირზე, და ა.შ. 1 მილილიტრ სუფთა წყალში ბაქტერიოფაგის  $2 \times 10^8$  ნაწილაკებია. რაოდენობრივად ბაქტერიოფაგები ყველაზე გავრცელებული ბიოლოგიური ელემენტები არიან დედამიწაზე; დაახლოებით  $10^{30} - 10^{32}$  ფაგური ნაწილაკია. ამიტომაც, მათ სამართლიანად უწოდებენ, როგორც ეკოსისტემებში მიკრობული ბალანსის ძირითად მარეგულირებლებს.

სასიცოცხლო ციკლის მიხედვით ფაგები შეიძლება კლასიფიცირდეს: ლითიური, ლიზოგენური და ქრონიკული ფაგები. ლითიური ბაქტერიოფაგები, როგორცაა T4 და MS2, ათავსებენ საკუთარ გენეტიკურ მასალას ბაქტერიის შიგნით, რის შედეგადაც წარმოიქმნება დიდი რაოდენობის ბაქტერიოფაგის ასლები. რეპლიკაციის შემდეგ მემბრანა იშლება და თავისუფლდება ახალი ბაქტერიოფაგები. ლიზოგენურ ციკლში, ფაგები, როგორცაა T1, აერთიანებენ თავიანთ დნმ-ს ბაქტერიულ ქრომოსომაში და ხდება არაინფექციური პროფაგი. პროფაგი მრავლდება ბაქტერიულ გენომთან ერთად უჯრედების გაყოფის დროს. გარკვეულ პირობებში, პროფაგს შეუძლია ბაქტერიული ქრომოსომიდან ამოკვეთა და ლითიურ ციკლში გადასვლა, რაც ახალი ფაგის ნაწილაკების წარმოქმნას განაპირობებს. ქრონიკული ბაქტერიოფაგები (როგორცაა M13) ინარჩუნებენ თავიანთ გენომს ბაქტერიულ უჯრედში, უჯრედების დაუყოვნებელი ლიზისის გარეშე. მასპინძლის გათავისუფლება ხდება თანდათანობით, უჯრედის ნაკლები დაზიანებით, რაც საშუალებას აძლევს უფრო დიდხანს დარჩეს იქ (31).

პროკარიოტულ ვირუსებს, გააჩნიათ უნიკალური ორგანოები ბაქტერიულ უჯრედებზე მისამაგრებლად. ბაქტერიოფაგების უმრავლესობას გააჩნია ორჯაჭვიანი დნმ, მაგრამ არსებობს ასევე ერთჯაჭვიანი ან ორჯაჭვიანი რნმ-ის ან ერთჯაჭვიანი დნმ-ის მქონე ფაგები. ფაგის დნმ ან რნმ განთავსებულია კაფსიდში (32).

რაც შეეხება ფაგების მდგომარეობას, არსებობს სამი ტიპის მდგომარეონა:

არაუჯრედული მდგომარეობა ეხება თავისუფალ, მომწიფებულ ფაგის ნაწილაკებს, რომლებიც მასპინძელი უჯრედის გარეთ არიან და შეუძლიათ მასპინძელი უჯრედების დაინფიცირება.

ვეგეტატიური მდგომარეობა, როგორც წესი, ეხება ფაგის მდგომარეობას, როდესაც ის აქტიურად მრავლდება მასპინძელ უჯრედში და წარმოქმნის ახალ თაობას. ეს მდგომარეობა დამახასიათებელია ლითიური ფაგებისთვის.

პროფაგური მდგომარეობა ამ მდგომარეობაში ფაგის გენომი ინტეგრირებულია მასპინძელ ქრომოსომაში და მასთან ერთად განიცდის რეპლიკაციას. პროფაგი რჩება მიძინებული მასპინძლის გენომში გარკვეული პერიოდის განმავლობაში (33).

### 1.3 ბაქტერიოფაგების კლასიფიკაცია

ბაქტერიოფაგები ავლენენ მორფოლოგიურ მრავალფეროვნებას. ისინი კლასიფიცირებულნი არიან როგორც მორფოლოგიური ტიპის მიხედვით ასევე, ნუკლეინის მჟავების შემცველობით. ცნობილია ფაგის 10 ოჯახი და 8 გვარი.(34)

მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ მორფოლოგიური კრიტერიუმები იძლევა ღირებულ ინფორმაციას, მხოლოდ ისინი შეიძლება არ იყოს საკმარისი ბაქტერიოფაგების ზუსტი კატეგორიზაციისთვის. ვირუსების ტაქსონომიის საერთაშორისო კომიტეტი გვთავაზობთ ვირიონის და მისი ნუკლეინის მჟავების დამატებითი მახასიათებლების გათვალისწინებას ზუსტი კლასიფიკაციას. ეს კრიტერიუმები მოიცავს: ფიზიოლოგიური ტესტები და ლიზისური აქტივობის დიაპაზონი,მოლეკულური მასა, ნუკლეინის მჟავის პროპორცია და ნუკლეინის მჟავის კონფიგურაცია,სეროლოგიური მახასიათებლები და ინფორმაცია ნუკლეინის მჟავას ჰიბრიდიზაციის შესახებ, მოლეკულური მასა, დალექვის მახასიათებლები, ვირიონის ფორმა და ზომა.

გენომში ჰომოლოგიური რეგიონები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ბაქტერიოფაგების კლასიფიკაციაში. ბაქტერიოფაგის რესტრიქციული პროფილის და სტრუქტურული ცილების შესწავლაც კლასიფიკაციის დადგენის მთავარი პირობაა (35).

ბაქტერიოფაგების დიფერენცირების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს რესტრიქციული ენდონუკლეაზების ანალიზი. თუ ორი ფაგი ავლენს მსაგვსებას, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ მათ აქვთ ნათესავური კავშირი (36).

## 1.4 ბაქტერიოფაგის ურთიერთქმედება ბაქტერიულ უჯრედთან

ბაქტერიოფაგისა და ბაქტერიული უჯრედის ურთიერთქმედება არის ძალზედ სპეციფიკური, მას სტადიური თანმიმდევრობა გააჩნია :

1. **ადსორბცია-** ბაქტერიოფაგი ემაგრება ბაქტერიის ზედაპირზე არსებულ სტრუქტურაზე რომელიც მოქმედებს როგორც რეცეპტორი. იგი განლაგებულია ან ლიპოპოლისაქარიდულ ან ლიპოპროტეინულ შრეში. ფაგის ადსორბცია ვერ მოხდება თუ ბაქტერიას არ გააჩნია უჯრედის კედელი. გარდა რეცეპტორისა ადსორბციის ასევე მნიშვნელოვანია ტემპერატურა, pH და სხვა ფაქტორები. ადსორბცია მიმდინარეობს ბაზალური მემბრანისა და მასზე არსებული შვერილებისა და წანაზარდების დაკავშირებით მასპინძელი უჯრედის კედელთან. წანაზარდებით და შვერილებით ეჭიდება ბაქტერიულ უჯრედს, ხოლო ფიქსაციას ბაზალური მემბრანით ახერხებს.
2. **ფაგის დნმ-ის შესვლა უჯრედში-** მეორე ეტაპია, ხდება ბაზალური მემბრანიდან ლიზოციმის გამოსვლა, იგი შლის უჯრედის კედელს, კონკრეტულად იმ ადგილზე სადაც დაკავშირებულია ფაგი. ამავე დროს ხდება კუდის შალითთან კალციუმის იონების გამოსვლა, რის შედეგადაც აქტიურდება ფერმენტი ატფ-აზა და მისი საშუალებით შალითა ატფ-ის გამოყენებით იკუმშება და შეჰყავს კუდის ღერძი ბაქტერიულ უჯრედში.
3. **ფაგის რეპროდუქცია -** ფაგის დნმ, როგორც კი უჯრედში მოხვდება იწყებს მთელი უჯრედის მეტაბოლიზმის გარდაქმნას საკუთარ თავზე. შესვლიდან 2-30წუთის განმავლობაში ფაგი არ ავლენს მოქმედებას ამ პერიოდს ლატენტური პერიოდი ეწოდება. შემდგომ კი იწყება ფაგის დნმ-ის რეპლიკაცია და მისივე ცილების სინთეზი.
4. **აწყობა-** ბაქტერიის უჯრედის სხვადასხვა უბანში სინთეზირდება ფაგის ნაწილები: კუდი, თავი, დნმ და სხვა. გაერთიანდებიან და იქმნება ახალი ფაგები.

5. **გამოსვლა-** აწყობის დასრულების შემდგომ ხდება ფაგების გამოსვლა მასპინძელი უჯრედიდან, რომელიც შემდგომ ილუპება, ლიზირდება ბაქტერიული უჯრედები და კვდება.

გარდა ამისა, არსებობს ლიზოგენური ციკლი, რომლის დროს რედუქცია ხდება ფაგის : ფაგის დნმ არ იწვევს ნუკლეინის მჟავებისა და ვირუსპეციფიკური ცილების სინთეზს. იგი ჩაერთვება ბაქტერიულ ქრომოსომაში და ასე გადაეცემა ბაქტერიულ შვილეულ თაობებს, ამ დგომარეობას ეწოდება პროფაგი (29).

## 2 მასალა და მეთოდოლოგია

### 2.1 საკვები არეები და ქიმიური რეაქტივები

*თხევადი, ნახევრად თხევადი და მყარი საკვები არეები ბაქტერიების და ბაქტერიოფაგების შენახვისა და კულტივირებისთვის:*

- სოიოს აგარი და ბულიონი (“Difco”, “Biomereux”);
- ჰიუ-ლეივსონის გლუკოზინი აგარი;
- მიულერ-ჰილტონის (Muller-Hinton) აგარი.
- 0%, 1%, 4%, 6 % მარილის შემცველ სოიოს ბულიონი.
- 3% წყალბადის ზეჟანგი
- ოქსიდაზას რეაგენტი
- ვაზელინის ზეთი
- დნმ-ის გამოსაყოფი ნაკრები (QIAamp® DNA Mini Kit (50)
- რესტრიქციული ფერმენტები(ენდონუკლეაზები SalI, EcoRI, EcoRV, HindIII, BglI, XhoI, XbaI).

### 2.2 *Ralstonia solanacearum*-ის შტამები

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში და სხვადასხვა დროს გავრცელებული მცენარეთა ბაქტერიული სიდამპლით დაავადებული ნიმუშებიდან გამოყოფილი მიკროორგანიზმი *Ralstonia solanacearum*-ის 40 იზოლატი, რომელიც ინახებოდა გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის კოლექციაში.

## 2.3 სპეციფიკური ბაქტერიოფაგები *Ralstonia solanacearum*--ს მიმართ

კვლევისთვის გამოყენებულ იქნა *Ralstonia solanacearum*-ის მიმართ სპეციფიკური 7 ბაქტერიოფაგი R.s 2-2, R.s 3-1, R.s 4, R.s 5, R.s 6, R.s 6-3, R.s 455. რომელიც ასევე ინახებოდა გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის კოლექციაში.

## 2.4 ანტიბიოტიკები

კანამიციინი 30  $\mu$ გ, ციპროფლოქსაცინი 5  $\mu$ გ, ქლორანფენიკოლი 30  $\mu$ გ, ამპიცილინი 10  $\mu$ გ, სტრეპტომიციინი 10  $\mu$ გ, გენტამიციინი 10  $\mu$ გ, ტეტრაციკლინი 30  $\mu$ გ, სულფამეთოქსაზოლი 100  $\mu$ გ, პოლიმიქსინ-B 300 IU , ცეფაზოლინი 30  $\mu$ გ.

## 2.5 კვლევაში გამოყენებული მეთოდები

### 2.5.1 *R. solanacearum*-ის ბიოქიმიური მახასიათებლების შესწავლა

*Ralstonia solanacearum*-ის ფენოტიპური მახასიათებლების შესასწავლად გამოყენებული იყო სხვადასხვა ბიოქიმიური ტესტები.

**KOH- ის ტესტი :** ბაქტერიოლოგიური მარყუჟით ვილებდით ბაქტერიის 24 სთ--იან კულტურას და ვაკეთებდით ნაცხს სასაგნე მინაზე. ვაწვეთებდით 3%-იან KOH-ის წვეთს და ვაკვირდებოდით ლორწოს წარმოქმნას.

**ოქსიდაზა ტესტი:** ეს ტესტი გამოიყენება, როგორც წესი ფსევდომონადების ოჯახის დიფერენციისათვის სხვა ტიპის ჩხირებისაგან. ვატარებდით *R. solanacearum*-ის ახალგაზრდა კულტურაზე. ფილტრის ქაღალდზე ვაწვეთებდით ოქსიდაზას რეაგენტს და მარყუჟით ბაქტერიული კულტურა გადაგვქონდა ფილტრის ამ ნაწილზე. 30 წმ-ის განმავლობაში ვაკვირდებოდით შედეგს.

**კატალაზა ტესტი:** ჩავატარეთ ახალგაზრდა კულტურებზე (18-24 სთ). 3%-იან წყალბადის ზეჟანგს ( $H_2O_2$ ) ვაწვეთებდით სტერილურ მინის სასაგნე დაფაზე, რომელშიც ბაქტერიული მარყუჟით შეგვქონდა ბაქტერია. შევურევდით და ვაკვირდებოდით ბუშტების წარმოქმნის პროცესს.

**გლუკოზის ფერმენტაცია/ოქსიდაცია.** ტესტი გამოიყენება აერობულ და ანაერობულ პირობებში შაქრებიდან მჟავას წარმომქმნელ გრამ-უარყოფითი ბაქტერიების

საიდენტიფიკაციოდ. ჰიუ-ლევისონის გლუკოზიან ნიადაგის ორ სინჯარაში (pH 7.0-7.1) ყოველ იზოლატისათვის ჩხვლევით ვახდენდით ჩათესვას. ერთ სინჯარას ვასხავდით სტერილური მინერალური ზეთს, რათა შეგვექმნა ანაერობული პირობები. მეორეში არ ვამატებდით ზეთს. დადებითი პასუხის დეტექცია ხდებოდა ფერის ცვლილებით იისფერიდან ყვითელში, რაც გამოწვეული იყო ნახშირწყლებიდან მჟავის წარმოქმნით.

**მიკრობთა ზრდის შესწავლა სხვადასხვა კონცენტრაციის შემცველ მარილიან საკვებ არეზე.** მიკრობთა ზრდას შევისწავლიდი სხვადასხვა კონცენტრაციის ნატრიუმის ქლორიდის შემცველ თხევად ნიადაგზე. ვიყენებდით სხვადასხვა კონცენტრაციის 0%, 1%, 2%, 4%, შემცველ მარილიან საკვებ არეს. საკვლევ იზოლატები შეგვქონდა ყველა სინჯარაში და ვათავსებდით 37°C -ზე 18-24სთ. ინკუბაციის შემდეგ ვნახულობით თითოეული შტამის ზრდას სხვადასხვა კონცენტრაციის სინჯარაში და ვიწერდით შედეგს.

## 2.5.2 ანტიბიოტიკომგრძობელობის განსაზღვრა კირბი-ბაუერის სტანდარტული დისკ-დიფუზიის მეთოდით

